ხაშურის მოამბე

№40 (121) 25 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2017 წელი

არჩევნები დამთავრდა, არჩევნები გრძელდება...

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს არჩევნების მეორე ტური გაარკვევს

2017 წლის 21 ოქტომბერი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც, რომელიც სწორედ ამ დღეს გაიმართა, ასევე ისტორიის კუთვნილებად იქცა, თუმცა ჩვენთვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებისათვის, არასრული შედეგით, რადგან პირველმა ტურმა მუნიციპალიტეტის მერი ვერ გამოავლინა და მეორე ტური გახდა საჭირო. კონსტიტუციის თანახმად მეორე ტური, არჩევნების პირველი ტურიდან, არაუგვიანეს 25 დღის განმავლობაში ინიშნება. აქედან გამომდინარე, მეორე ტურის ბოლო თარიღი 15 ნოემბერია. ჯერ ცესკოს ოფიციალური თარიღი არ გამოუცხადებია, თუმცა, სავარაუდოდ, იგი 11 ნოემბერი (25 დღის ბოლო შაბათი) შეიძლება იყოს.

როგორ ჩაიარა არჩევნებმა? თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის ისტორიაში, ჩვენს მუნიციპალიტეტში, მსგავსი დემოკრატიული არჩევნები ჯერ არ გვქონია. ხაშურლებს კარგად გვახსოვს მრავალი წინა არჩევნები, რომლის დროსაც არც ავტომატების კაკანი დაგკვ-

ლებია და არც სპეცდანიშნულების რაზმებისაგან დარბეული მოსახლეობა. ბღუჯა-ბღუჟა გაყალბებული ბიულეტინებით გავსებული საარჩევნო ყუთებიც არ იყო ჩვენთვის უცხო. წლევანდელი არჩევნები კი აბსოლიტურად მშვიდ გარემოში წარიმართა და ასევე დასრულდა – თითოულმა ამომრჩეველმა თავისუფლად შესძლო თავისი ნების გამოხატვა. ეს არჩევნები უპრეცედენტო იყო იმ მხრივაც, რომ საჩივარი რაიმე დარღვევის შესახებ არც რომელიმე პარტიას და არც ადგილობრივ თუ უცხოელ დამკვირვებელს თითქმის არ დაუფიქსირებია. 52-ვე საარჩევნო უბანზე სრული სიმშვიდე და არჩევნებისათვის იდეალური პირობები იყო.

გაზეთის დღევანდელ ნომერში მკითხველს სრულ სურათს ვთავაზობთ, თუ რა შედეგები გვიჩვენა არჩევნებმა. მკითხველის შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს როგორც მერის, ასევე მაჟორიტარობის კანდიდატების და პარტიების მოპოვებულ ხმებს.

რაც შეეხება აქტივობას, ის საერთო ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულს უტოლდება და 39,34 პროცენტს შეადგენს. სხვათაშორის, მსგავსი პროცენტული მაჩვენებელი არც მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნებისთვისაა უცხო და ნორმალურ მაჩვენებლად ითვლება. თუმცა, სასურველია, რომ ასეთ მნიშვნელოვან არჩევნებში მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა იღებდეს მონაწილეობას, რადგან, იმ ცნობილი გამოთქმის არ იყოს, ცუდ ხელისუფლებას ირჩევენ კარგი ადამიანები, რომლებიც არ მიდიან არჩევნებზე.

მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

№2. ნატო კიკაძე(ბაქრაძე.უგულავა-ევროპული საქართველო) – 5,67% - 1013 ხმა;

№3.გიორგი ბერიძე(დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო, – 3,19% - 571 ხმა;

№5. გიორგი მახათაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 16,38% - 2928 ხმა;

№8. აკაკი ჩიტაძე (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 4,8% - 858ხმა;

№27. ლაშა გელაშვილი (გიორგი ვაშაძე ერთობა ახალი საქართველო) – 1,24% - 222 ხმა;

№41. გიორგი გურასპაშვილი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო) -42.24% - 7550 ხმა,

№42. რამაზ ნოზაძე (დამოუკიდებელი კანდიდატი) - 18,48% - 3303 ხმა;

№43. ილია კაპანაძე (დამოუკიდებელი კანდიდატი) - 7,99% - 1428 ხმა.

არჩევნების მეორე ტურში, გამარჯვებისათვის, ქართული ოცნების კანდიდატი გიორგი გურასპაშვილი და დამოუკიდებელი კანდიდატი რამაზ ნოზაძე იბრძოლებენ.

ცალკეული პარტიების შედეგები კი ასეთია:

№2. ბაქრაძე, უგულავაევროპული საქართველო – 8,65% - 1579 ხმა;

№3. იმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა თავისუფალი საქართველო – 3,78% - 691 ხმა;

№4. გ.დ.მ – 0,21% - 39 ხმა;

№5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 20,84% - 3803 ხმა;

№8 საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 10,24% - 1869 ხმა;

№10. საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 8.32% - 1519 ხმა;

№27. გიორგი ვაშაძე - ერთობა ახალი საქართველო – 1,05% - 193 ხმა;

№31. თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა – 0.82% - 150 ხმა;

№41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო – 46,05% - 8403 ხმა;

რაც შეეხება მაჟორიტარული წესით არჩევას. გაგაცნობთ მათ ვინაობას, ვინც არჩევნებით მოიპოვა საკრებულოს წევრობა.

1. ხაშური (ე.წ. „გადაღმა მხარე") – გიორგი ბერაია;
2. ხაშური(შინდარა, შუშის ქარხნის დასახლება, ვეფხვაძეების უბანი) – იმედა მეტრეველი;
3. ხაშური(ცენტრი) – მერაბ ცხოვრებაძე;
4. ხაშური(ჭალა, ღუდის დასახლება)- ზვიად ტეფნაძე;
5. სურამი- მაყვალა მაისურაძე;
6. ალი – ზურაბ ნოზაძე;
7. გომი – დავით მეტრეველი;
8. ოსიაური – ლევან გამრეკელი;
9. ფლევი – მიხეილ კაპანაძე;
10. ქვიშხეთი – არჩილ ჩაჩანიძე;
11. ცოცხნარა – ელგუჯა გოგალაძე;
12. ცხრამუხა – ლაშა ლურსმანაშვიილი;
13. წაღვლი – ჯონდო კაპანაძე;
14. წრომი – ემზარ მურჯიკნელი;
15. ხალები – ნოვე ტაბატაძე;
16. ხცისი – გურამ მაზიაშვილი.

წარმოდგენილი პიროვნებებიდან მიხეილ მიქაძე არის პარტია „პატრიოტთა ალიანსის" წევრი, ნოვე ტაბატაძე კი დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს. დანარჩენები პარტია „ქართული ოცნების" წევრები არიან.

პარტიული სიების მიხედვით, მიღებული პროცენტული მაჩვენებლებით, წინასწარი შედეგებით, საკრებულოში მოხვდნენ პარტია „ქართული ოცნებიდან" 8 კაცი, „ნაციონალური მოძრაობიდან" 3 კაცი, „ლეიბორისტებიდან" -1 კაცი, „პატრიოტთა ალიანსიდან" – 1 კაცი, „ევროპული საქართველოდან" – 1 კაცი.

აქ სულ 14 მანდატია წარმოდგენილი. სავარაუდოდ, 1 მანდატი შესაძლოა „პატრიოტთა ალიანსს" დაემატოს. ამ კონფიგურაციით საკრებულოს წევრები გახდებიან: ქართული ოცნებიდან:" მიხეილ ჯანაშვილი, ვაჟა ხარშილაძე, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ცოტნე ნოზაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ნიკოლოზ კიკნაძე; „ნაციონალური მოძრაობიდან" – როინ მახარობლიძე, შავლეგ დოლიძე, დავით გარადინსკი. ,,ლეიბორისტული პარტიიდან" – ირინე გრიგალაშვილი. „პატრიოტთა ალიანსიდან" – ალექსანდრე სიმონიშვილი, აკაკი ჩიტაძე(სავარაუდოდ) და „ევროპული საქართველოდან" ელზა კიკაძე.

რა თქმა უნდა, ჯერ ეს ყველაფერი წინასწარი მონაცემებია და ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიას საბოლოო შედეგები არ დაუფიქსირებია, მაგრამ, ვეჭვობთ, რამე შეიცვალოს, მითუმეტეს, რომ, როგორც თავში აღვნიშნეთ, რაიმე განსახილველი საჩივარი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევნებზე, არ არსებობს.

მაშ ასე, წინ არჩევნების მეორე ტურია, რომელიც, იმედია, ასეთივე მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩაივლის.

იმედო ლაცაბიძე: საარჩევნო პროცესმა ძალიან მშვიდად და ხარისხიანად ჩაიარა...

21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები ჩვენს მუნიციპალიტეტში მშვიდად, ექსცესების გარეშე ჩატარდა. წელსაც, დემოკრატიული არჩევნების უპრეცენდენტო ფაქტი დაფიქსირდა. თუ რა საარჩევნო გარემო იყო წელს, ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს იმედო ლაცაბიძეს ვესაუბრეთ:

–საარჩევნო პროცესმა ძალიან მშვიდად და ხარისხიანად ჩაიარა, კომისიის წევრები კარგად იყვნენ მომზადებულები. გაგიკვირდებათ და, არც ერთი საჩივარი არ დაწერილა, რაც ნიშნავს იმას, რომ ნელ-ნელა მკვიდრდება საარჩევნო კულტურა და მოსახლეობის ცნობიერებაც ყოველწლიურად იცვლება. რაც შეეხება მეორე ტურს, კონკრეტული თარიღი ჯერ არაა ცნობილი, თუმცა ვიცით, რომ 15 ნოემბრამდე დაინიშნება. წელს საკრებულო ხუთი პარტიით დაკომპლექტდება, ხმათა უმრავლესობით, მმართველი გუნდი იქნება წარმოდგენილი. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ხაშურის ამომრჩეველს, საარჩევნო კომისიის წევრებს, საუბნო კომისიის წევრებს, რადგან გაამართლეს საარჩევნო ადმინისტრაციის სლოგანი "განვითარება გრძელდება", ეს ძალიან მნიშვნელოვანია არჩევნების ცივილურად ჩატარებისათვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მეროობის კანდიდატების ხმების რაოდენობა ცალკეული უბნების მიხედვით

ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება გაეცნონ მონაცემებს თუ ხმების რაიოდენობა მოიპოვეს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებმა ცალკეული უბნების მიხედვით. აქვე შეგახსენებთ მათ საარჩევნო ნომრებს და ხმების ჯამურ რაოდენობას.

№2. ნატო კიკაძე (ბაქრაძე,უგულავა-ევროპული საქართველო) – 5,67% - 1013 ხმა;

№3. გიორგი ბერიძე (დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო – 3,19% - 571 ხმა;

№5. გიორგი მახათაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 16,38% - 2928 ხმა;

№8. აკაკი ჩიტაძე (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 4,8% - 858ხმა;

№27. ლაშა გელაშვილი (გიორგი ვაშაძე ერთობა ახალი საქართველო) – 1,24% - 222 ხმა;

№41. გიორგი გურასპაშვილი (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო) -42.24% - 7550 ხმა,

№42. რამაზ ნოზაძე (დამოუკიდებელი კანდიდატი) - 18,48% - 3303 ხმა;

№43. ილია კაპანაძე (დამოუკიდებელი კანდიდატი) - 7,99% - 1428 ხმა.

უბანი \ ხუმბერტი	2	3	5	8	27	41	42	43
1	13	5	51	16	7	109	74	10
2	27	17	58	21	8	229	45	14
3	33	9	46	38	1	245	44	23
4	21	7	99	37	3	179	51	35
5	13	8	110	21	4	100	66	45
6	19	10	60	36	1	233	81	24
7	25	14	62	21	7	220	39	6
8	13	14	61	14	3	109	19	30
9	12	13	59	11	2	183	74	16
10	19	7	43	16	2	155	77	13
11	16	37	60	20	6	234	73	10
12	14	17	64	13	0	100	38	24
13	20	6	104	12	3	209	74	30
14	13	7	55	14	2	91	85	13
15	30	15	55	13	2	181	79	39
16	37	9	79	22	9	146	76	17
17	16	10	66	8	4	119	108	33
18	23	6	97	18	9	191	96	9
19	14	5	96	13	3	105	89	7
20	22	5	64	18	4	195	103	20
21	19	8	39	22	7	162	86	4
22	15	0	22	10	7	64	59	11
23	25	22	102	44	4	205	84	12
24	24	4	18	13	0	61	20	9
25	16	12	39	14	4	91	26	13
26	26	35	85	13	10	101	248	56
27	11	9	52	13	9	47	34	14
28	21	16	51	15	8	220	124	94
29	16	5	38	9	9	194	51	16
30	17	2	21	10	17	118	29	245
31	13	3	34	11	3	64	25	74
32	31	31	38	16	3	151	89	57
33	41	31	60	8	4	168	60	47
34	60	13	43	18	4	142	35	28
35	15	12	96	11	3	110	79	24
36	31	8	31	10	10	202	87	8
37	10	3	68	14	4	140	21	37
38	3	4	31	3	0	80	21	27
39	13	31	54	15	0	129	5	17
40	3	2	9	1	1	27	4	1
41	1	1	18	3	1	46	28	11
42	24	21	63	14	2	154	50	38
43	21	12	52	53	6	129	102	20
44	11	2	30	20	0	83	45	20
45	17	12	93	23	0	199	53	14
46	20	9	70	9	3	133	61	18
47	15	9	80	10	4	195	57	10
48	16	3	41	14	7	326	49	19
49	11	7	44	9	2	121	140	11
50	21	11	59	14	4	100	69	27
51	13	8	29	26	4	102	18	10
52	33	4	29	11	2	153	53	18

ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების ხმების რაოდენობა ცალკეული უბნების მიხედვით (ჯამური რაოდენობა და პარტიების დასახელება იხილეთ პირველ გვერდზე)

უბანი \ ხუნტა	2	3	4	5	8	10	27	31	41
1	18	4	2	55	40	18	3	1	138
2	27	15	0	66	32	33	5	4	241
3	32	9	0	41	60	36	2	6	245
4	29	8	1	73	73	39	7	6	191
5	31	9	0	83	54	39	4	4	130
6	36	11	0	65	57	45	2	2	248
7	24	8	0	66	30	27	10	5	221
8	19	9	0	73	20	12	0	0	126
9	27	20	2	73	21	33	7	0	179
10	30	15	1	51	28	32	8	2	164
11	30	34	0	69	35	30	5	4	243
12	23	23	0	72	26	11	1	7	107
13	35	9	1	128	25	27	3	4	214
14	22	14	1	66	24	20	2	5	127
15	63	20	3	118	46	32	5	3	280
16	46	10	1	96	42	33	7	0	159
17	31	10	0	88	35	37	5	3	138
18	33	7	3	117	34	37	7	5	207
19	31	6	1	114	28	22	5	2	122
20	36	5	0	86	48	34	5	2	214
21	29	8	0	60	45	31	11	5	163
22	19	3	1	44	35	21	3	5	49
23	30	25	0	123	66	25	1	3	220
24	31	4	0	17	18	14	0	1	70
25	28	9	0	43	31	8	0	1	93
26	70	46	0	146	44	96	4	7	156
27	18	11	1	57	17	18	1	2	61
28	60	22	1	105	43	67	6	4	243
29	23	2	0	61	14	22	3	2	210
30	49	6	1	61	84	40	11	2	197
31	22	4	0	55	29	21	1	2	99
32	48	48	0	66	39	37	10	4	168
33	50	44	2	83	26	34	4	2	181
34	54	30	1	52	29	22	0	4	157
35	24	19	0	123	32	31	2	1	113
36	55	7	1	45	40	34	5	2	195
37	18	3	0	82	23	18	0	0	149
38	11	5	0	41	7	4	0	0	100
39	13	26	0	65	26	10	0	2	126
40	5	2	0	10	2	1	1	0	26
41	4	6	1	26	9	9	1	0	52
42	30	21	1	81	29	27	3	3	171
43	29	15	0	70	95	40	6	1	145
44	16	0	0	28	55	17	4	3	90
45	27	12	2	101	48	17	2	3	200
46	30	14	1	81	31	27	0	2	137
47	20	7	1	78	17	62	3	7	193
48	34	6	4	175	38	80	6	6	422
49	25	12	1	76	35	33	7	6	138
50	31	20	0	75	33	21	3	0	118
51	17	6	1	32	39	9	1	1	107
52	36	2	3	41	32	26	1	4	160

ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარობის კანდიდატების შედეგები

მაჟ. ოლქი	
35.01.01	2. ჯემალ მირზოევი - 82 (4.44%)
	3. ზაზა ბურჯანაძე - 34 (1.84%)
	5. გიორგი ხონელიძე - 296 (16.04%)
	8. ალექსანდრე სიმონიშვილი - 297 (16.1%)
	10. მანანა კაპანაძე - 112 (6.07%)
	41. გიორგი ბერაია - 836 (45.31%)
	44. თეიმურაზ რუხაძე - 188 (10.19%)
35.01.02	2. ოლღა გრიგცოვა - 81 (4.66%)
	3. ავთანდილი ჩადუნელი - 232 (13.35%)
	5. ეკატერინე ლომუაშვილი - 273 (15.71%)
	8. პაატა ქიმერიძე - 346 (19.91%)
	41. იმედა მეტრეველი - 806 (46.38%)
35.01.03	2. მარინა ლომიძე - 153 (7.03%)
	3. არჩილ ჯაფარაშვილი - 138 (6.34%)
	5. ეკატერინე პაპუაშვილი - 458 (21.04%)
	8. ნინო მესხიძე - 174 (7.99%)
	41. მერაბ ცხოვრებაძე - 1254 (57.6%)
35.01.04	2. ბესიკ მაზიაშვილი - 100 (5.95%)
	3. ანატოლი ბლიაძე - 98 (5.83%)
	5. გიორგი ნოზაძე - 459 (27.31%)
	8. თამარ ნოზაძე - 113 (6.72%)
	41. ზვიადი ტეფნაძე - 770 (45.81%)
	45. ვასილ ხაჩიძე - 141 (8.39%)
35.02	2. გიორგი ფცქიალაძე - 85 (2.88%)
	3. ვლადიმერ ტალახაძე - 33 (1.12%)
	5. შავლეგ დოლიძე - 753 (25.52%)
	8. ნიკოლოზ ზაბახიძე - 98 (3.32%)
	10. ელგუჯა ულუმბელაშვილი - 72 (2.44%)
	41. მაყვალა მაისურაძე - 1495 (50.66%)
	44. ივანე გელაშვილი - 234 (7.93%)
	45. ხათუნა კურტანიძე - 181 (6.13%)
35.03	2. გიორგი იმერლიშვილი - 87 (8.1%)
	3. გიორგი ნოზაძე - 96 (8.94%)
	5. ელენე ნოზაძე - 236 (21.97%)
	8. მიხეილ მიქაძე - 180 (16.76%)
	41. ზურაბ ნოზაძე - 475 (44.23%)
35.04	3. მამუკა შუბითიძე - 142 (10.58%)
	5. ინგა ცოცხალაშვილი - 125 (9.31%)
	8. ვეფხვია ჯამბაზიშვილი - 40 (2.98%)
	10. გურამ გელაშვილი - 229 (17.06%)
	41. დავით მეტრეველი - 366 (27.27%)
	44. ენგური ნინიაშვილი - 192 (14.31%)
	45. გენადი გელაშვილი - 248 (18.48%)
35.05	2. მარიამ ლომიძე - 12 (1.48%)
	3. ნიკოლოზ არჯევანიძე - 3 (0.37%)
	5. პარმენ ბარბაქაძე - 56 (6.91%)
	8. გოჩა კვესაძე - 13 (1.6%)
	41. ლევან გამრეკელი - 636 (78.42%)
	45. გიორგი ზღუდაძე - 91 (11.22%)
35.06	3. ზაქარია ნოზაძე - 8 (1.15%)
	5. ზურაბ გაგნიძე - 58 (8.36%)
	8. სიმონ შუბითიძე - 100 (14.41%)
	10. ზაურ ხაჩიძე - 84 (12.1%)
	41. ზაზა კაპანაძე - 174 (25.07%)
	44. მიხეილ კაპანაძე - 270 (38.9%)
35.07	2. შორენა კიკაძე - 113 (9.48%)
	3. აზა ლაცაბიძე - 431 (36.16%)
	5. ალიკა ღონღაძე - 172 (14.43%)
	41. არჩილ ჩაჩანიძე - 476 (39.93%)
35.08	3. გია ნოზაძე - 72 (20.69%)
	5. ალექსანდრე გოგალაძე - 131 (37.64%)
	41. ელგუჯი გოგალაძე - 145 (41.67%)
35.09	2. ოლია ხარშილაძე - 54 (7.83%)
	5. ქრისტეფორე კოპაძე - 87 (12.61%)
	8. მადონა კურტანიძე - 71 (10.29%)
	41. ლაშა ლურსმანაშვილი - 478 (69.28%)
35.10	3. ინგა უბირია - 12 (2.63%)
	5. გელა შეყელაშვილი - 144 (31.51%)
	8. მალხაზ ლომიძე - 20 (4.38%)
	41. ჯონდო კაპანაძე - 281 (61.49%)
35.11	2. თეონა ხარშილაძე - 7 (2.24%)
	3. გურამ სარალიძე - 49 (15.65%)
	5. ვახტანგ მურჯიკნელი - 67 (21.41%)
	8. თამაზ მურჯიკნელი - 21 (6.71%)
	41. ემზარ მურჯიკნელი - 169 (53.99%)
35.12	3. ზურაბ პაქსაშვილი - 1 (0.95%)
	5. ანზორ გასიშვილი - 17 (16.19%)
	8. გიორგი ღონღაძე - 0 (0%)
	41. ალექსანდრე ჩაჩანიძე - 34 (32.38%)
	44. ნოვე ტაბატაძე - 53 (50.48%)
35.13	2. ვასილ მაზიაშვილი - 19 (4.47%)
	3. აკაკი მთიულიშვილი - 51 (12%)
	5. გივი ძამანაშვილი - 28 (6.59%)
	8. თამაზ ბურნაძე - 23 (5.41%)
	41. გურამ მაზიაშვილი - 196 (46.12%)
	44. ნიკოლოზ გაგნიძე - 108 (25.41%)

ბეგლარ ელბაქიძე - უნიკალური მსოფლიო რეკორდის ავტორი

ხაშურის მხალთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა შეხვედრა მარათონელ მოცურავე ბეგლარ ელბაქიძესთან. ჩვენს მკითხველს კარგად ახსოვს გასულ ნომერში ვწერდით მისი გასაოცარი რეკორდის შესახებ. ბატონმა ბეგლარმა ბათუმის საზღვაო არეალში, დგომელა, მხედრული ხელეები: ზეზელა, სამხედრო სამწვრთნელო, „კოლხური", „მენჩურუა", ანუ წყალჭიდი შევიდეს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში, გამომდინარე იქიდან, რომ ამ სახეობებს მსოფლიო ოლიმპიური თამაშების სახეობად გადაქცევის დიდი პერსპექტივა აქვს. შეხვედრაზე ნაჩვენები იყო მარათონის ამსახველი დოკუმენტური ფილმი „ახალი მსოფლიო რეკორდი". შეხვედრას უძღვებოდა მარათონის ერთ-ერთი ორგანიზატორი გვაჯი მანია, შეხვედრაზე გამოითქვა იმედი, რომ ბეგლარ ელბაქიძის აღნიშნული მსოფლიო რეკორდი უახლოეს მომავალში რეკორდების წიგნშიც დაფიქსირდება.

ბაღმართული სტილით, ულასტოდ, დაძლია 7 ოლიმპიური დისტანცია 10.5 კილომეტრი 5 საათისა და 25 წუთის განმავლობაში. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ, გაესვა ხაზი მარათონის უდიდეს მნიშვნელობას და მოცურავის უდიდეს წვლილს სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. ასევე, სურვილი გამოითქვა, რომ ხალხური ცურვის სახეობა

ზაზა სუხიაშვილის კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. იგი ფერმერების იმ კატეგორიას ეკუთვნის, ვინც ყოველდღიური დაუღალავი შრომით ქმნის დოვლათს და ამის ფაქტი მის მიერ მოწეული წლევანდელი მოსავალია. სურათზე ნათლად ჩანს, რომ წლევანდელი ცუდი ამინდების მიუხედავად, მან მაინც მოახერხა და მისი ვაშლის ბაღი მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო. ბარაქა მის მარჯვენას და ღმერთმაც ხელი მოუმართოს ოჯახის, რაიონის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.



მომავალი სასწავლო წლისთვის ფლეველი მოოსწავლეები თანამედროვე სკოლის შენობაში ისწავლიან

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტს დაქვემდენარებული სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა მიმდინარე ეტაპზე ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის შედეგად, განთავსებულია სოფელ ფლევის ე.წ საკრებულოს შენობაში.

2017 წლის 28 სექტემბერს , სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს "კაპიტოლ კონსტრაქშენს" შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, სოფელ ფლევში აშენდება ახალი სასწავლო კომპლექსი.

სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაა 2 797 635.00 (ორი მილიონ შვიდაოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასოცდათხუთმეტი) ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა 2018 წლის 22 სექტემბერია.

მოვინახულეთ, დავპირდით

21 ოქტომბერს, მეგობრების ერთი ჯგუფი **რამაზ ხარშილაძის** საფლავს ვეწვიეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დაუვიწყარი შედეგები, მისი სვლა სპორტული სიმაღლეებისაკენ.

მისი გარდაცვალება ყველა ჩვენთაგანისათვის მოულოდნელი იყო, ამიტომ იგი დიდი გულისტკივილითა და ცრემლებით გავაცილეთ მისი მუდმივი საცხოვრისისაკენ.



რამაზის საფლავზე კიდევ ერთხელ გახმიანდა და სიამაყით ითქვა იმ წარმატებებზე, რომელსაც მან თავისი ხანგრძლივი სპორტული ცხოვრების მანძილზე მიაღწია.

მის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა, ამიტომ მათ შესახებ აქ არარ გავიმეორებთ. მის მკერდს ბევრი მაღალი ჯილდო ამშვენებდა, იგი სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო.

როცა სათანადო ასაკი დადგა, იგი გამოემშვიდობა დიდ სპორტს და სამშენებლო ტექნიკუმდამთავრებულმა რამაზმა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები და საამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მშენებლობა მისი სტიქია იყო, მაგრამ ცხოვრებამ კიდევ ერთხელ მოუწყო გამოცდა. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში აღმოჩნდა და მის ცენტრალურ აპარატში დაიწყო მუშაობა, საიდანაც სათანადო ასაკისა და სტაჟის შესრულების შემდეგ პენსიაზე გავიდა მაიორის წოდებით და მშვიდობიან ფრონტზე გააგრძელა მოღვაწეობა.

რამაზი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება, იგი ერთხანს რაიონის გამგებლის წარმომადგენელი იყო ქალაქ ხაშურში.

რამაზი შრომისმოყვარე და მიზანმიმართული პიროვნება იყო, უყვარდა სოფელი და მიწაზე მუშაობა.

მეგობრებმა მისი სულის სახსენებლად და დასალოცად ჭიქა ღვინო წავუქციეთ საფლავზე და დავპირდით, რომ მის სახელს არ დავივიწყებდით, რომ მის საფლავს არ შეაშრებოდა მისი ახლო მეგობრების ცრემლები.

რ. სუხიაშვილი, მეგობრების სახელით

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.